საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი თ ი ს ა ბ ჭ ო

მისამართი: 6010, ქ. ბათუმი, ტელ/ფაქსი: (+995 222) 7 17 82

ნინოშვილის ქ., №35 ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა № 04

ქ. ბათუმი **26 დეკემბერი, 2013 წ**

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ 2014 წლის ბიუჯეტის დამტკიცების თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, ბსუ-ს წედების მე-10 მუხლისა და წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის საფუძველზე წარმომადგენლობითი საბჭომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

1. დამტკიცდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2014 წლის ბიუჯეტი დანართი 1-ის შესაბამისად.

2. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,

პროფესორი \კ.ქაშიბაძე\

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

2014 წლის ბიუჯეტი

შ ი ნ ა ა რ ს ი

თავი ბიუჯეტის მიზნები ----------

თავი ბიუჯეტის შემოსავლები ----------

თავი . ბიუჯეტის დანახარჯები ----------

თავი დანახარჯების ოპტიმიზაცია ----------

თავი პრიორიტეტული მიმართულებების დაფინანსება ----------

თავი

უნივერსიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის მიზნები

მუხლი 1. ბიუჯეტის მიზნები

1. შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის მიზნებია:

- შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიის განხორციელების ხელშეწყობა;

- უნივერსიტეტის მართვის ორგანოების განვითარება და პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება;

- უნივერსიტეტის პრიორიტეტული მიმართულებების განვითარება;

- სასწავლო-სამეცნიერო პროცესის შეუფერხებელი მიმდინარეობისათვის სტაბილური მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური ბაზის შექმნა;

- აკრედიტაციის მოთხოვნების შესრულებისათვის აუცილებელი პირობების უზრუნველყოფა;

- შიდა და გარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის მოქნილი სისტემის დანერგვა, ფინანსური მდგრადობის მიღწევა და შემოსავლების ზრდა;

- სტუდენტთა სოციალური დაცვისა და წახალისების სისტემის სრულყოფა;

- ბიბლიოთეკისა და ელექტრონული საინფორმაციო რესურსების სრულყოფა;

- უნივერსიტეტის თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების გაზრდა.

მუხლი 2. მიზნების განხორციელებისათვის საჭირო ღონისძიებები

1. ზემოთაღნიშნული მიზნების მისაღწევად უნივერსიტეტი უზრუნველყოფს:

- სტრუქტურული რეორგანიზაციის განხორციელებას, რაც გულისხმობს შტატების ოპტიმიზაციას, სასწავლო პროცესისა და სამეცნიერო მუშაობის რეორგანიზაციას თანამედროვე მიდგომების შესაბამისად, მათი ხარისხის ზრდის უზრუნველყოფის მიზნით;

- სტუდენტური თვითმმართველობის სპეციალური ფონდის გამოყოფას;

- საბიბლიოთეკო ფონდების მნიშვნელოვან გაფართოებას, ახალი წიგნების შეძენის მიზნით ფაკულტეტებთან კონსულტაციების შედეგების და სტუდენტთა რაოდენობების გათვალისწინებით;

- კომპიუტერული ტექნიკის, სასწავლო ლაბორატორიების, რეაქტივების, სასწავლო მასალების, სწავლის პროცესისა და სამეცნიერო მუშაობისათვის აუცილებელი სხვა საქონლისა და მომსახურების შეძენას, უნივერსიტეტის ტერიტორიაზე WIFI სისტემის დანერგვა;

- ფინანსური რესურსების ოპტიმიზაციას, წარმოშობილი მიმდინარე ვალდებულებების დროულად დაფარვის მიზნით;

- უნივერსიტეტის ტერიტორიაზე სანიაღვრე კანალიზაციის და შენობებში არსებული სველი წერტილების (სანიტარული კვანძების) რეაბილიტაცია, შენობა-ნაგებობების, აუდიტორიების, ლაბორატორიების ეტაპობრივ მიმდინარე შეკეთებას. ლაბორატორიების და სასწავლო პროცესების ახალი ავეჯით უზრუნველყოფას (დამატებას);

თავი

ბიუჯეტის შემოსავლები

თავი 3. ბიუჯეტის შემოსავლების ოდენობა

1. განისაზღვროს უნივერსიტეტის 2013 წლის ბიუჯეტი სხვადასხვა წყაროებიდან მიღებული შემოსავლების შესაბამისად საშემოსავლო ნაწილში 13 212 904 ლარის ოდენობით.

2. უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემოსავლების ძირითადი წყაროებია: სტუდენტთა სწავლის საფასური, სახელმწიფო სასწავლო გრანტი, სახელმწიფო სუბსიდია, შემოსავლები აბიტურიენტთა მომზადებიდან, ბიზნესის და სხვა მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამების შემოსავლები, გრანტები, შემოსავლები იჯარიდან და შემოსავლები სხვა ეკონომიკური საქმიანობიდან.

მუხლი 4. სწავლის საფასური

განისაზღვროს უნივერსიტეტის შემოსავლები სწავლის საფასურის სახით 7 100 000 ლარის ოდენობით;

მუხლი 5. სახელმწიფო სასწავლო გრანტი

განისაზღვროს უნივერსიტეტის შემოსავლები სახელმწიფო სასწავლო გრანტის სახით 800 000 ლარის ოდენობით.

მუხლი 6. სახელმწიფო სუბსიდია

განისაზღვროს უნივერსიტეტის შემოსავლები სახელმწიფო სუბსიდიის სახით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან 2 005 000 ლარის ოდენობით და საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს ბიუჯეტიდან 800 000 ლარის ოდენობით.

მუხლი 7. შემოსავლები სხვადასხვა მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამებიდან, წრეებიდან და აბიტურიენტთა მოსამზადებელი კურსებიდან

სხვადასხვა მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამებიდან, წრეებიდან და აბიტურიენტთა მოსამზადებელი კურსებიდან განისაზღვროს უნივერსიტეტის შემოსავლები 150 000 ლარის ოდენობით.

მუხლი 8. გრანტები

განისაზღვროს უნივერსიტეტის შემოსავლები, საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტებით 75 000 ლარის ოდენობით, უცხოური საგრანტო პროგრამებიდან - „ტემპუსის“ პროგრამის გრანტი 150 000 ლარის ოდენობით და სხვა სამეცნიერო პროგრამებიდან და გრანტებიდან 150 000 ლარი.

მუხლი 9. შემოსავლები სხვადასხვა სახის საქმიანობიდან

განისაზღვროს უნივერსიტეტის შემოსავლები სხვადასხვა სახის ეკონომიკური საქმიანობიდან 395 000 ლარის ოდენობით.

მუხლი 10. შემოსავალი საბანკო ანგარიშზე არსებული ნაშთის სახით

განისაზღვროს უნივერსიტეტის შემოსავალი საბანკო ანგარიშზე არსებული ნაშთის სახით განისაზღვროს – 2 237 904 ლარის ოდენობით.

მუხლი 11. შემოსავლების შემდგომი გაზრდის მიმართულებები

1. უნივერსიტეტი თავისი შემოსავლების შემდგომი გაზრდის მიზნით გეგმავს:

- უნივერსიტეტში სტუდენტთა კონტინგენტის გაზრდას კონკურენტუნარიანი სპეციალობების დანერგვისა და აკრედიტაციის მოთხოვნების შესრულების გზით;

- სხვადასხვა ტიპის სასწავლო-საგანმანათლებლო პაკეტების შეთავაზებას (რეზიდენტურის პროგრამების სრულყოფა, დისტანციური სწავლა, უწყვეტი განათლება, პროფესიული სწავლების შეთავაზება, თანამედროვე შრომის ბაზარზე ორიენტირებული სპეციალობების განვითარება, მასწავლებელთა გადამზადების პროგრამის დანერგვა, მაგისტრატურისა და დოქტურანტურის საგანმანათლებლო ახალი პროგრამების შექმნა და არსებულის სრულყოფა);

- სასწავლო პროცესთან და სამეცნიერო კვლევებთან დაკავშირებული სხვადასხვა საქმიანობების განვითარებას (სტუდენტური საკონსულტაციო მომსახურება, სასწავლო-საცდელი სამუშაოების კომერციული მხარეების განვითარება, სამეცნიერო პროდუქტების შემუშვება, ექსპედიციების მოწყობა და სხვა);

- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლებასთან, სამეცნიერო და საგანმანათლებლო პროცესთან დაკავშირებული სხვადასხვა ტიპის გრანტების მოსაზიდად მუშაობის გააქტიურებას.

თავი

უნივერსიტეტის ბიუჯეტის დანახარჯები

მუხლი 12. უნივერსიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს უნივერსიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის ხარჯები 13 212 904 ლარის ოდენობით.

მუხლი 13. შრომის ანაზღაურება

1. უნივერსიტეტში დასაქმებულია შემდეგი კატეგორიის მომსახურე პერსონალი: აკადემიური, ადმინისტრაციული, სამეცნიერო და დამხმარე სამეცნიერო პერსონალი და მოწვეული მასწავლებლები, რომლებიც ძირითადად იყოფა შტატით განსაზღვრულ და ხელშეკრულებით მოწვეულ სპეციალისტებად.

2. განისაზღვროს უნივერსიტეტის მოსამსახურეთა (აკადემიური პერსონალი, მასწავლებელთა პერსონალი, სამეცნიერო პერსონალი, დამხმარე ადმინისტრაციული პერსონალი) პერსონალისათვის ხელფასის ფონდი (შტატით)

7 629 180 ლარის ოდენობით, ხოლო კადემიური და მოწვეული პერსონალის საათობრივი ანაზღაურება 815 920 ლარის ოდენობით.

მუხლი 14. ვადიანი ხელშეკრულებით დაქირავებულთა შრომის ანაზღაურება

1.უნივერსიტეტში ხელშეკრულებით შტატგარეშე და დროებით დაქირავებულ სპეციალისტთა შრომის ანაზღაურება განისაზღვროს 250 000 ლარის ოდენობით, ხოლო მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამების და აბიტურიენტთა მომზადების კურსების შრომის ანაზღაურება 74 000 ლარის ოდენობით

2. განისაზღვროს რომ ხელშეკრულებით დაქირავებულთა ხელშეკრულების მოქმედების ვადა არ უნდა აღემატებოდეს ერთ წელს.

მუხლი 15. მიღებული გრანტებიდან გაწეული ხარჯები

განისაზღვროს უნივერსიტეტის მიერ მიღებული გრანტებიდან გასაწევი სახელფასო ფონდის ხარჯები 200 000 ლარის ოდენობით.

მუხლი 16. მივლინებები

განისაზღვროს უნივერსიტეტის თანამშრომელთა მივლინების (ქვეყნის შიგნით, ქვეყნის გარეთ) ხარჯები გრანტით განსაზღვრული მივლინებების ჩათვლით 130 000 ლარის ოდენობით.

მუხლი 17. საქონლისა და მომსახურების შესყიდვა

განისაზღვროს უნივერსიტეტის მიერ საქონელისა და მომსახურების შესყიდვის ხარჯები 1 545 500 ლარის ოდენობით.

მუხლი 18. სტუდენტური თვითმმართველობის ფონდი

განისაზღვროს უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის ფონდი 60 000 ლარის ოდენობით.

მუხლი 19. ემერიტუსის, სტუდენტთა სტიპენდიების და სასწავლო-სოციალური პროგრამის ფონდი

განისაზღვროს უნივერსიტეტის ემერიტუსის, სტუდენტთა სტიპენდიების და სასწავლო-სოციალური პროგრამის ფონდი 254 030 ლარის ოდენობით.

მუხლი 20. კაპიტალური ხარჯები

განისაზღვროს უნივერსიტეტის კაპიტალური ხარჯები შენობა-ნაგებობების შეკეთების, კაპიტალური რემონტისათვის, ლიტერატურის, კომპიუტერული

ტექნიკის, ლაბორატორიული დანადგარების, რეაქტივებისა და სხვა ძირითადი საშუალებების შეძენისათვის 240 000 ლარის ოდენობით.

თავი

დანახარჯების ოპტიმიზაცია

მუხლი 21. დანახარჯების ოპტიმიზიის მიმართულებები

1. დანახარჯების ოპტიმიზაციისა და შემცირების მიზნით უნივერსიტეტი უზრუნველყოფს:

- სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, უპირატესად ელექტრონული წესით, ხელსაყრელი პირობების მიღებისა და დანახარჯების მინიმიზაციის მიზნით;

- შტატების ოპტიმიზაციას, ხელფასების შესაძლო გაზრდის პერსპექტივების გათვალისწინებით.

თავი

2013 წლის ბიუჯეტის

პრიორიტეტული მიმართულებების დაფინანსება

მუხლი 22. პრიორიტეტული მიმართულებები

1. 2013 წლის ბიუჯეტით დაფინანსების ძირითადი პრიორიტეტებია:

ა) უნივერსიტეტის პერსონალის შრომის ანაზღაურების გაზრდა;

ბ) სამეცნიერო-კვლევით საქმიანობა;

გ) საბიბლიოთეკო ფონდების შევსება;

დ) მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება.

დანართი 1

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

2013 წლის ბიუჯეტი

შემოსავლები

№	შემოსავლის მუხლები	თანხა, ლარი
	1	2
1	სწავლის ქირა სწავლების დონეების მიხედვით	7,100,000
	მ.შ.	
	ბაკალავრიატი	6,050,000
	რეზიდენტურა და მაგისტრატურა	450,000
	დოქტურანტურა	100,000
	პროფესიული	350,000
	მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამები და აბიტურიენტთა მოსამზადებელი კურსები	150,000

2	სწავლასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლები	300,000
	მ.შ.	
	განსხვავებული კრედიტების გავლის საფასური	300,000
3	შემოსავლები სხვადასხვა დონის ბიუჯეტებიდან	2,805,000
	მ.შ.	
	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელი (სუბსიდია)	2,005,000
	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სასწავლო გრანტი	800,000
4	გრანტები	375,000
	მ.შ.	
	საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტები	75,000
	„ტემპუსის“ პროგრამის გრანტი	150,000
	სხვა სამეცნიერო პროექტები და გრანტები	150,000
5	შემოსავლები სხვადასხვა სახის ეკონომიკური საქმიანობიდან	395,000
	მ.შ.	
	შემოსავლები მოკლევადიანი და გრძელვადიანი იჯარებიდან	60,000
	საერთო საცხოვრებლის ქირის, ქსეროქსის და სხვა შემოსავლები	70,000
	შემოსავლები საგამომცემლო საქმიანობიდან	15,000
	საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებზე პროცენტის დარიცხვა	250,000
	საბანკო ანგარიშებზე არსებული ნაშთი	2,237,904
6	სულ შემოსავლები	13,212,904

დანართი 2

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

2013 წლის ბიუჯეტი

დანახარჯები

№	დანახარჯის მუხლები	თანხა, ლარი
	1	2
1	ხელფასი	9,014,100
	მ.შ.	
	წლიური ხელფასის ფონდი საშტატო განრიგის მიხედვით	7,629,180
	აკადემიური და მოწვეული პერსონალის საათობრივი ანაზღაურება	815,920
	შტატგარეშე და დროებით დაქირავებულ სპეციალისტთა შრომის ანაზღაურება	250,000
	მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამების და აბიტურიენტთა მოსამზადებელი კურსების შრომის ანაზღაურება	74,000
	გრანტის სახელფასო ფონდი	200,000
	საპრემიო ფონდი	45,000
2	მივლინებები	130,000
3	სხვადასხვა საქონელი და მომსახურება	1,540,500
	მ.შ.	
	ოფისის ხარჯები	1,000,000
	წარმომადგენლობითი ხარჯები	50,000
	სამედიცინო ხარჯები	500
	სასწავლო და რბილი ინვენტარის და სხვა ინვენტარის შეძენის ხარჯები	50,000
	ტრანსპ-ისა და ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	90,000

	უნივერსიტეტის შენობის მიმდინარე სარემონტო სამუშაოები	150,000
	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	200,000
4	კაპიტალური ხარჯები	240,000
	მ.შ.	
	ლიტერატურის შეძენა	70,000
	კომპიუტერული ტექნიკის შეძენა	70,000
	რეაქტივები, ლაბორატორიული ან სხვა სასწავლო დანადგარების შეძენა	100,000
5	ემერიტუსი, სტიპენდია და სასწავლო-სოციალური პროგრამა	254,030
	მ.შ.	
	ემერიტუსი	123,030
	სტიპენდია	101,000
	სასწავლო-სოციალური პროგრამა	30,000
6	საგადასახადო ხარჯები	200,000
7	გაუთვალისწინებელი ხარჯების ფონდი	5,000
8	ნაშთი წლის ბოლოსათვის	1,829,274
9	სულ დანახარჯები	13,212,904

№	ოფისის ხარჯები	თანხა (ლარი)
1	სავიზიტო ბარათების დამზადება	500
2	ტიტულოვანი ბლანკები	500
3	აბრები	500

4	გამოფენა ექსპოჯორჯიაში	3375
5	თეთრეულის რეცხვის მომსახურება	500
6	112-ის მომსახურების საფასური	220
7	ფოტოსურათების ბეჭდვა	2000
8	სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების მართვის კომპიუტერული პროგრამა	15000
9	წყლის დისპენსერები	2000
10	პროგრამა-ორისი (განახლება)	800
11	გაზეთში განცხადებების გამოქვეყნება	1500
12	საკანონმდებლო მაცნეს ინტერნეტ მომსახურება	922.03
13	საბიბლიოთეკო პროგრამა (საწევრო)	1000
14	კომპიუტერული ტექნიკის შეკეთება	5000
15	ვებ გვერდის მომსახურების გადასახადი	1728.97
16	კატრიჯების შევსება	2725
17	ბროშურების და ბუკლეტების დამზადება	9000
18	მინის შესყიდვა	3000
19	საკაბელო ტელევიზიის მომსახურება	3168
20	ფოსტა	4900
21	ლიცენზირებული კასპერსკის ანტივირუსი 500 კომპიუტერზე	2775
22	ფარდები აუდიტორიებისთვის	10000
23	ცეცხლსაქრობი	4000
24	სცენის იატაკის მოწყობა	4900
25	ელ. საქონელი (ჩამრთველ-ამომრთველები, როზეტები და ა.შ.)	4500
26	ვიდეო კამერა და ფოტოაპარატი	7000
27	სარეკლამო მომსახურება	10000
28	ხაბები და საქსელო კაბელები	5000
29	მობილურით სარგებლობა	10000

30	სატელეკომუნიკაციო მომსახურებები (სილქნეტი და სხვ.)	17600
31	ჟურნალ-გაზეთები	26887
32	ინტერნეტი	35000
33	საკანცელარიო საქონელი, კარტრიჯები და სხვა საოფისე მოწყობილობები	90000
34	გაზი	65000
35	სამეურნეო საქონელი (ნათურები, კარის საკეტები, ხელსაწყოები, სანტექ. მოწყობილობები და სხვა)	30000
36	ელექტრო-ენერგია	130000
37	დაცვის მომსახურება	132000
38	დალაგება-დასუფთავება	134999
39	წყლისა და კანალიზაციის ხარჯი	199000
40	გამათბობლები და კონდენციონერები	20000
41	ოფისის სხვა ხარჯი	3000
	სულ ჯამი	**1000000**

№	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	თანხა (ლარი)
1	აკრედიტაციასთან დაკავშირებული ხარჯები	15000
2	კალათბურთის საწევრო	35000
3	სასამართლო ბაჟი	15000
5	ტვირთის გადაზიდვა	30000
6	სასწავლო საველე და პედ. პრაქტიკა	35000
7	სასტამბო საქონელი	40500
8	დიპლომების დამზადება	10000

10	სპორტული ტანსაცმელი , მანტიები და სხვა ტანსაცმელი	10000
11	სატენდერო და სააუქციონე განცხადების გამოქვეყნების საფასური	3500
12	გაზეთის ბეჭდვა	3000
13	სხვა არაკლასიფიცირებული მხარჯები	3000
	სულ ჯამი	**200000**